

ნაკურთხე

ISSN 0132-6015

ქართული
ზოგადი განათლების
ნიშნის

14 1985

ნ.ა. ბ. დინსაძისა

მზვიდობისთვის
დღეს ვინც ვმღერით,
მეტი ვართ,
ოცნებით და ფიქრით
გაბადრულნი...
გაუმარჯოს
სიჭაბუკის ფესტივალს! —
ამღერებას
მილიონთა ბულის!



კლინის იდგენენ ფეხზე ღვინით გაღებულები **ჯ. საღირაშვილი** და **დ. გუგუჩაშვილი**, როცა ერთმანეთში შელაპარაკდნენ და ჩხუბიც მოუვიდათ. გაშველების მიზნით მათ შუაში ჩადგა ასევე მთვრალი ზაურ შოთას ძე გოგოძე, რომლის ხელისკერის შედეგად **ჯ. საღირაშვილი** ასფალტზე დაეცა და თავი დაარტყა. იგი რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ვითომ „გამშველებელი“ **ზ. გოგოძე**, რომელმაც ნასვამ მდგომარეობაში გაუფრთხილებლობით მკვლელობა ჩაიდინა, **ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ** გაასამართლა და მას 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მიუხედავად საკასაციო საჩივრებისა, აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვეს ზემდგომმა სასამართლო ინსტანციებმა.

თბილისელი **ოთარ იასონის ძე ოსიყმიშვილი** მძლოლად მუშაობდა **ამიერკავკასიის საპროექტო-სამონტაჟო სამმართველოს № 15 სამონტაჟო კანტორაში**. ერთხელაც კარგად გამობრუებული მივიდა კან-

დანაშაული ჩადენილია სიმთვრალეში



ტორაში და ლანძღვა-გინება დაუწყო უბნის უფროსს. ჯიბიდან დანა ამოიღო, გაშალა და თანამშრომლებს შესძახა — „ყველას თავებს წაგაჭრითო“. მისი თავხედობა დიდხანს გაგრძელდა, დაირღვა უბნის მუშაობის ნორმალური პირობები. მერე ის იყო, მილიციის მუშაკები მოვიდნენ და ხულიგნის ანტისაზოგადოებრივი მოქმედება აღკვეთეს.


შემდეგ კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით **ო. ოსიყმიშვილს** შეეფარდა 4 წლით

თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ეს მოხდა **ბოლნის-გაგრეთში** ტაქსის მძღოლს ყაჩაღურად თავს დაესხნენ მთვრალი ახალგაზრდები **ჯეშალ ნიკიფორას ძე მამარდაშვილის** ხელმძღვანელობით. ფული წაართვეს, მძღოლი გაექცათ, ხოლო თავდამსხმელებმა მისი მანქანა გაიტაცეს და ქ. ქუთაისში „დააბინავეს“. მიღებული ზომების შედეგად მანქანაც იპოვეს და **ჯ. მამარდაშვილიც** დააკავეს, რომელმაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ თანამზრახველებთან ერთად წინასწარი შეთანხმებით ჩაიდინა ყაჩაღობა — ტაქსის მძღოლზე თავდასხმა.

ამ საქმეზე საფუძვლიანი მსჯელობა გაიმართა **ქ. თბილისის კლინიკის რაიონის სახალხო სასამართლოში**, რომლის განაჩენით **ჯ. მამარდაშვილს** მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ს. სპაშვილი



— ჩვენც ხომ არ ვაგვეცურა პა სტო?!

მედალი... ლოთობისათვის!



კმტრმ პირველის დროს იმ ლოთებსა და ალკოჰოლიკებს, რომლებიც განუწყვეტლივ სვამდნენ და რომლებსაც ამის გამო ციხეში სვამდნენ, სასჯელის მოხდამდე კისერზე ჰკიდებდნენ 17-გირვანქიან (6 კოლოგრამი და რვაასი გრამი) თუჯის მედალს, რომელსაც ეწერა „ლოტობისათვის“.

მედალი... არაყაცობისათვის!




მაშ, ასე! თქვენ გაეცანით პეტრე პირველის მიერ დაარსებულ მედალს „ლოტობისათვის“! ამიერიდან „ნიანგი“ აფუძნებს რუბრიკას — „არაყაცობისათვის“ (არაყ — არაყი, ყაც — კაცო, ე. ი. გადაგვარებული კაცი) და აარსებს ახგრაშიან მედალს „არაყაცობისათვის“.

ამ რუბრიკით გამოქვეყნდება იმ არაყაცთა, ანუ არაყაცთა მოკლე ანკეტური მონაცემები, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავს ლოთობითა და ალკოჰოლიკობით.

საგანგებო უიური უარესთა შორის შეარჩევს უკეთესებს და მათთვის სამარცხვინო ვითარებაში გადასცემს აღნიშნულ მედალს.

რედაქცია ყურადღებით მოისმენს არაყაცების პროტესტორთა თხოვნას, მაგრამ დასაბეჭდოდ გამზადებული რუბრიკიდან არც ერთ არაყაცს არ ამოიღებს!



საქრებულო

იუმორისტა

ჰიმნი რ მ მ ჩათავდა, ჩავიცვი და გამოვედი. მშვენიერი დილა იყო. ეზოში სერიოზულად ჩაცმული კაცი იდგა და ღურბინდით ჩვენი სახლის ზედა სართულის რომელიღაც სარკმელს ათვალიერებდა. არაფერი მიკითხავს. ჩავუარე, ყველას თავისი საქმე აქვს, მე ჩემი საქმე ხუთი თითოვით ვიცი. გავივლი ახლა დიოკლეთიანეს ჭიხურთან, ას გრამს დავლევ, ჩვევლები სამ ნომერ ტროლეიბუსში და წავალ სამსახურში.

დახლს უწითელსამკლავო და უშალსტუხო, ცვილისცხვირა კაცი ჩამოყრდნობია. დიოკლეთიანეს კი აღგზნებული სახე აქვს და ხურვებიანი ავადმყოფის დანისლული თვალები.

- არ მიგიღია ფაშლავა ჭერ! — მომახარა.
- რა არ მიგიღიათ?!
- ფაშლავა, შენი საყვარელი ნამცხვარი! — უცნობს შეხედა დიოკლეთიანემ. უცნობმა მალლა და ოდნავ განზე გაიხედა.
- ნამცხვარი ვნახე ამოდაგული! — ჩავილაპარაკე თუ არა, დიოკლეთიანემ ხომენკოს კინოსტუდიის მიერ შექმნილი დეტექტური ფილმის გმირივით ჩამიკრა თვალი. თვალი თვალია და, ღრანჭი კინალამ შეახია კბილებს.

მივხვდი. ისე გამალებით მივაბიჯებ გმირ პაპანიელთა პროსპექტზე, შემირცხვენი ყველა გამოჩენილი ნარათონელი!

ახლომახლო ყველა ჭიხურს ვეძგერე. ერთმა გამყიდველმა ალერსიანად გამიქნია თავი, მეორემ მუშტი მომიღერა, მესამემ ისე გაიკვირვა, თითქოს სიტყვა არააპი არასდროს გაეგონოს. მხოლოდ ახალგაზრდა აერობიკოსთა კაფეში ამიხსნეს ადამიანურად:

- თქვენ რა, ჭურში ზიხართ?! დღეს, დილის 8 საათსა და ნოღნოღ წუთიდან ლოთობა აიკრძალა!
- როდის იყო დაშვებული?! — გულჩამწყდარი მოვშორდი დახლს. გაქანებულ ტროლეიბუსს შევახტი, მაგრამ სამსახურში მაინც დამაგვიანდა. მორიგემ ტაბელზე მიმითითა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ თვის პრემიას უნდა დავეშვიდობო!..

საქმეს გული ვერ დავუღვი. ტანზე თითქოს ჭიანჭველები დაცოცავენ და ურუანტელი მივლის.

შესვენებაზე ქუჩაში გასვლის ნებართვა ვითხოვე და რესტორანში შევვარდი:

- ასი გრამი!
- მხოლოდ ხუთი საათის შემდეგ!
- დილამდე?!
- რვა საათამდე!
- რვის შემდეგ?!
- გასტრონომში შევვარდი:
- თეთრი!
- მხოლოდ ოთხიდან ექვსამდე!
- იქნებ გამონაკლისის წესით?
- გამონაკლისები მხოლოდ გრამატიკის სახელმძღვანელოშია! საათს დავხედე: შესვენების დრო ამოწურულა!
- დავიღუპე! მომხსნიან! ქუჩა უადგილო ადგილას გადავჭერი!..
- ფეხით მოძრაობის წესების დარღვევისათვის დამაჩარიმეს. სურათიც გადამიღეს. ჩვენი კედლის გაზეთი — „თავს ვინ გვჭრის“ — საქვეყნოდ გამომაქვენებს!..

მორიგემ ისევ შემომიბღვრა.

ბღვერას მიჩვეული ვარ. საქმეს კვლავ ვერ დავუღე გული. დღის ბოლოს ნაშრომი დაიანგარიშეს და მისაყვედურეს: „რა ღმერთი გაგიწერა?! დღიური ნორმა მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი პროცენტით შეგისრულდებაო!“

ახლა შენ ეს თქვი, სამსახურიდან ოთხზე გაპარულს, გასტრონომში, არყის რიგში რომ ჭყლეტა მომიწევს!..

ხომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, დიოკლეთიანეს რომ ჩვეულებრივ ეთქვა ამ დღით: „დაყოლებ რამეს?“

ხომ ავცდებოდი ამ დავიდარაბას?! რა იქედნურად იღიმები?! მე ვარ რამეში დამნაშავე?!

ჩაიწერა არა ჩემიან

ლოთოთა მიმართ

პატარა ეს სიმღერა -
ვინტო არვინ დავალ ოთო!
სსენებაც კი გვიჭირს შენი,
ისეთი გაქვს დამლა, ლოთო!

დადგომით, აპა, ეამი, -
კედელს თავი ანალ ოთო!
რომ არც ცოლი გაამწაროთ,
არც შვილები აბლავ ოთო!

და ჩვენც გეპართებს, სიტყვა ჩვენი
უასანჯლოთ და ვასბა ოთო!
თორემ, საცა ფუნი დადვი,
იქ ბალახიც გასმა, ლოთო!

აღარ ვიცით, ლაფდასსმული
სად და როგორ დავმა ოთო!
იქნებ ჯობდეს, ცხოვრების გზა
თქვენც კაცურად გაკვა ოთო?!

მთვრალი კაცი-ვაი-კაცი!

ყოველდღე და ყოველღამე,
აღმა-დაღმა, მარჯვნივ, მარცხნივ
მიმოისმის ურთი „სიბრძნე“:
„მთვრალი კაცი - კაი კაცი!“

არც ბრძენია ამის მთქმელი
და არც - გმირი გულმამაცი;
ლოთის გარდა, სხვა ვინ იტყვის:
„მთვრალი კაცი - კაი კაცი!“

რომ პქონოდათ ჩვენს წინაპრებს
მემთვრალეთა მრუდე წესი,
განა დღემდის მოაღწევდა
ეს სიმდიდრე უძველესი?!

დროა, დროა, ამგვარ „სიბრძნეს“
შევაგებოთ თვალი შეკვრივ
და შეცვალოთ ღირსეულად:
„მთვრალი კაცი - ვაი-კაცი!“

ოთარ შალაგვარიძე

(პაროდია)

დიდი ეზო!.. დიდი სასლი!..
შიგ - შვიდი დღის მკვდარი!..
გრძელი სეფა!.. ბევრი ხალხი!..
მთვრალი!.. მთვრალი!.. მთვრალი!..

სანოვაგე - თავსაყრელი!..
ღვინო - შაქარწყალი!..
ნათესავი, მეზობელი -
მთვრალი!.. მთვრალი!.. მთვრალი!..

ველარა ცნობს პატრონს ძაღლი!..
დაავიწყდათ მკვდარი!..
გრძელი სეფა!.. ბევრი ხალხი!..
მთვრალი!.. მთვრალი!.. მთვრალი!..

ბათუ მელია



— ოთხზე მოვალო, შეჭპირდა და მართლაც ოთხზე მოვიდა!..

ნაკვესები

- **როცა** ლოთობისაკენ პირდაპირი გზით მიდიან. აღამიანობა გვერდზე რჩებათ!
- **ღვინით** ამჩატებული კაცი მძიმე ასატანი!
- **მაჰარმა** თქვა: დაღვინება ღვინის მსმელსაც უნდაო!
- **ლორმა** ლაფში ჩაეარდნილი ლოთი ნახა და ჩაიღრუტუნა: ადგილს მეცილებათ!
- **ღვინით** არეული ნაბიჯით ცხოვრებაში შორს ვერ წახვალ!
- **ღვინის** ბოთლში ჩამძვრალიო და — გაჭირვებაში ჩამხრჩვალიო!
- **ნასხამ** კაცს ერთი ორად ეჩვენებოდა და ოფიციატ-მაც ასე უანგარიშა!
- **საქმელსო** სუფრაზე სიფხიზლაც დაკრძალეს!
- **ღვინის** მდინარემ ფონი არ იცის!
- **ვირივით** გაჯიუტებულ ლოთს სახრე მოუხდება!

ოთარ სტაშაძე



უსიტყვოდ

არაჩაიო, ჩაიო უსიტყვოდ!

ლოთის პონოლოგი
ივანოვსკა

არაჩაი არაბულად ოფლს ნიშნავს და იმიტომაც მიზიდავს. ოფლი კარგია. შენ თუ არ ღვრი! თქვენ ოფლი დაღვარეთ. მე კი არაყს დავლევ და, იმ ერთი გახმაურებული იგავი არაყისა არ იყოს, სოფელიც აშენდება!

რაც თავი მახსოვს, სულ შენდება სოფლები და ქალაქები და მეც სულ მალარიჩს ვსვამ. ახლა კი მეუბნებით, ნულარ დალევო! რათა კაცო, ველარ აშენებთ, თუ რა არის?! ჩემისთანა ადამიანს სმა დაუშალო, — ეს ნიშნავს, რომ ყორანს ლემის ჭამა აუკრძალო!

„შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა სუფველას სმა უნდა?“ — ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. არაყზე კი საერთოდ ცოტა არის შექმნილი ანდაზები. ძველად არაყს იშვიათად სვამდნენ და იმიტომ! — იტყვიოთ თქვენ მერე და, განა, ჩვენი თვითონ არ დავგმეთ წარსულის ზოგიერთი მავნე გადმონაშთი?! რატომ სვამდნენ იშვიათად, რა ჰქონდა არაყს მათი დასაწუნი?! ჯერ უსმინეთ, რა მიმზიდველად ჟღერს სიტყვა არაყი. სულ ხუთი ასოსგან შედგება ეს სიტყვა და თითოეული ასო ას გრამს ნიშნავს. აბა, დაუკვირდით, როგორ ჰგავს ერთმანეთს სიტყვები ასო და ასი! თქვენ ეს შემთხვევითი ამბავი რომ არა გგონიათ?! თვითონ სიტყვა არაყის ასოების რაოდენობა მიგანიშნებთ, რომ სუთას გრამზე ნაკლები არ უნდა დალიოთ თითო დალევაზე! მეტი? რამდენიც გინდათ! იმ დღეს მე ცხრაასი გრამი დავლიე და ცხრაას სახლს მაინც მივაღდექი ლამის გასათევად. ბედი უნდა ყველაფერს! იმ ცხრაასი სახლიდან ერთიც არ აღმოჩნდა ჩემი, მაგრამ, სამაგიეროდ რამდენმა კაცმა გამიცნო, რამდენმა იხილა ჩემი პერსონა! ერთ დღეში ისეთი პოპულარული გავხდი, ფან მარეს შემურდებოდა ჩემი! ბოლოს და ბოლოს, სახლი იმითომ ხომ არ გაქვს, რომ შიგ გაათენო?! მაშ

რისთვის არსებობენ ქუჩები, ბაღები, სკვერები, სანაგვეები?! ანდა სახლში სადა გაქვს ხე, რომ ბის ძირში მიწვე და მიიძინო?! — ახალი ბრძანებულება რომ გამოქვეყნდა სწორედ იმ დღეს დავლიე ერთ ლიტრზე მეტი (ამ ბრძანებულების გამოსვლაც ხომ უნდა აღმენიშნა?!). და კარგად მახსოვს, ტროლეიბუსში რომ ჩამეძინა. მაგრამ ძილი ვინ მაცალა?! თურმე ორი მილიციელი დამადგა თავს და გამოსაფხიზლებელში გამაქანეს. ნეტავი გენახათ, რამდენი ლიტრი წყალი დახარჯეს ჩემს გამოფხიზლებაზე! საკუთარ სახლში ასეთ ფუფუნებას ვინ გაღირსებს?! — თვეობით არ მოდის წყალი კიდეც მეუბნებით, რატომ სვამო?! რატომ ვსვამო?! ცოლი ხელფასს მთხოვს. შვილები — ჭამას და ჩაცმა-დახურვას, მე-ზობელი — სამი წლის წინანდელ ვალს! მოდი, ნუ დაიბოღმები და ნუ დალევ! სამ-

მად სიფხიზლე ვაქციოთ! ო, რა საშინელი პროზა გამეფდება ირგვლივ, აღარავინ გააფრფნს, აღარავინ იჩხუბებს!.. აბა, ფხიზელი კაცი სახურავზე ავა?! ტრამვაის ხაზზე შუადლისას გაწვება და დაიძინებს?! რუსთაველის გამზირზე გავლებულ თეთრ სახაზე ივლის?! აი, რამდენი სანახაობა მოაკლდება ხალხს! ფხიზელი კაცი კანონის მონაა. მთვრალი კი — საზოგადოების ჩარჩოდან ამოვარდნილი თავისუფალი პიროვნება. მაშ გაუმარჯოს თავისუფლებას!

ახლა, თქვენთან საუბარს რომ დავამთავრებ, წავალ, გამოვთვრები და, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ! მერე სიფხიზლისკენ რომ მომიწოდებენ, იმ ტიპებს სამკაპიკიან სეროფიან წყალზე დავატიყებ. ისინი რა არაყის ღირსნი არიან! მერე კიდეც დავლევ, ჩემი უფროსის მესამე მოადგილეს დაგურეკავ ტელეფონით და პირდაპირ ვეტყვი: შენ რომ კარგი კაცი იყო, მეორე მოადგილე იქნებოდი-მეთქი! შემდეგ ჩვენი გასტრონომისკენ გავუსვევ და ვიტრინის მინას ერთხელ კიდეც გავტეხ, — თორემ ეს რას ჰგავს?! — რამდენჯერაც ჩავამტვრიე, იმდენჯერ ახალი ჩასვეს! უზრდელები! მე ვამტვრე, ისინი კი სვამენ, თან მინის საფასურს მახდევინებენ, თან თსუთმეტ-თსუთმეტი დღის პატიმრობას მისჯიან!

ეჰ, ცხოვრება აღარ ღირს, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ! ახლა წავალ, დავთვრები და შუალამისას ისეთ სიმღერას წამოვიწყებთ მთელმა ქალაქმა გაიღვიძოს! გამოფხიზლებიან არ მოგვიწოდებს დრო?! ჰოდა, რა დროს ძილია?! ადამიანებო, იყავით ფხიზლად!

ჩაიწერა გიგა მახვილაძე



სახურშია და, ვინდა თუ არა, დროზე უნდა გამოცხადდე, არც კარტი ითამაშო სამუშაო საათებში, არც ღომინო და არც ჭადრაკი, პროდუქცია უნდა შექმნა, თანაც უწუნო! — მოდი და, ნუ დალევ! ქუჩაში გამოხვალ და ფხი არავის არ უნდა დააბიჯო, მხარი არავის არ უნდა გაკრა, სტადიონზე არ უნდა შეიგინო! — მოდი და, ნუ დალევ! მთვრალი კაცი, კაი კაციო! რა შესანიშნავი გამოთქმა გვქონდა ადრე, ახლა კი რა დრო დაგვიდგა, — მოგვიწოდებენ, რომ ჩვენი ცხოვრების ნორ-



ფალაგონი

ცას, როგორც ფერ-უმარილი,
შერჩენია ნისლის ფთილა.
ხმაურით და პურ-მარილით
გაასილა თვალი დილაში..

პირველ სიტყვას იღებს სიტყვა! —
ცხვარ-მეცხვარის არის ქება!
როს სათქმელი უკვე ითქვა,
ცა გასიეს ჯისვის რქებმა!..

ვურ აუდის შამფურს დანა,
სურნელია არაყ-ღვინის!..
ჯიშიანი ცხვრები დგანან
საპატიო სტუმრებშით!..

მწდე-თამადის ცქვიტი გზირი
ვის გაუშვებს, აბა, ჩავლილს?!
წითელ ენას ნავაზივით
აწყლაპუნებს ნაკვერჩხალი!..

გაცეცხლებულ მაყალბების
ერთი აყალმაყალია!..
ყანწი, შუბლს რომ მალერებენ,
მგონი ჩემზე მაღალია!..



უსიტყვოდ

ან თრობოლოგიური ნაირსახეობანი

ვუმზერ ყანწით მოჭრილ თავებს,
სუფრაზე რომ ყრია გროვად!..
ეფიქრობ: „რაც ვსვი, რაც ვიღავე,
კმარა!.. ახლა წახვლის დროა!“

რომ მეგონა, — აი, უკვე
სამშვიდობოს გავაღწიე, —
შუა გზაზე გასულს უკან
მადევარი დამაწიეს!..

ვეგრძნობ, ძნელია გადარჩენა!
განა მიმტრეს, ან მიშარეს?! —
გულიცა და მჭრელი ენაც
სუფრასავით გაიშალეს!

სიტყვით ისევ დამბრუნეს,
ისევ წვეთდა თაფლი სმაში!..
დამიჭირეს, დამბრუნეს,
ისევ დამსვეს სუფრის თავში!..

მიტხრეს: „ჩვენი ტყვე ხარ აწი!
თუ ბიჭი ხარ, აბა, წადი!“
მომამჯინეს შუბლზე ყანწი,
მიტრიალეს თვალწინ მწვადი!..

თქვენს მტერს, რაც მე ღლე დამადგა,
თურმე ისე გავტიალდი, —
თურმე ისე გავთამაშდი, —
დავივიწყე ბოლოს მათი

წესები და სათრი-მათრი, —
სულ სმალივით ვატრილდე
ის ყანწი და, განთიადზე,
თურმე თვითონ გავთამაშდი!..

რაო, რა თქვით?! არა გჯერათ?!
ისე კარვად არც მე მასსოვს!..
სხვებმა მიტხრეს, თორემ მე რა,
რა მაქვს თქვენთან სატრამპსო?!

ნოდარ ჯალაღონია
(ყიზლარის ველი, დაბა კოჩუბეი)

ნ.ხ. ნ. დინსაძისა

მარტო რძა



შამკანაზე



კახა ლოთი

1860

ანბონ ჩხრაი

(თვითმკვლელობის მსურველებს)

ცხოვრება დიდი ვერაფერი შვილი გამოგონებაა, მაგრამ ძალზე ადვილია მისი ისე გადაკეთება, რომ თავი სამოთხეში წარმოიდგინოთ. საამისოდ არაა საკმარისი ორასი ათასის მოგება, „თეთრი არწივის“ მიღება, მომხიბლავ არსებაზე დაქორწინება, ქველმოქმედის სახელის მოხვეჭა! — ყველა ეს სიკეთე წარმატებულია და ჩვეულებად იქცევა სოღმე. თუ გინდათ, არასოდეს არ გტოვებდეთ სინარულის განცდა, თვით გლოვისა და მწუხარების წუთებშიც კი საჭიროა:

ა) დღევანდელით დაკმაყოფილების უნარი, და ბ) სინარული იმის გამო, რომ „შეიძლება უარესიც მომხდარიყო“. ეს კი ძნელი არ არის:

თუ ჯიბეში უცხად ასანთი აგიფეთქდა, გინაროდეს და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ შენი ჯიბე დენთის საწყობი არ არის!

როდესაც აგარაკზე ღარიბი ნათესავეები გეწვევიან, კი არ უნდა გაფითრდე, არამედ გამარჯვებულის ხმით წარმოთქვა: „რა კარგია, რომ ესენი პოლიციელები არ არიან!“

თითოში სიჭკვი თუ შევერტო, გინაროდეს, — „კიდევ კარგი თვალში რომ არ შემერტო!“

როდესაც შენი ცოლი, ანდა ცოლისდა პიანინოზე გამას უკრავს, მოთმინებიდან კი არ უნდა გამოსვიდე არამედ ადგილს ვერ უნდა პოულობდე სინარულისაგან, რომ დაკვრას უსმენ და არა ტურების კი-

ვილს, ან კატების კონცერტს!
გინაროდეს, რომ კონკაში შებმული ცხენი არ ხარ, არ ხარ კასოკური ჭირი, ტრიქინა, ღორი, სახუნდარი, დათვი, — ბოშები რომ დაატარებენ, არ ხარ ბაღლინჯო!.. გინაროდეს, რომ არ ხარ კოჭლი, ბრმა, ყრუ, მუნჯი, არ გაწუხებს ქოლერა!.. გინაროდეს, რომ ამ წუთას არ ზინარ საბრაღდებო სკამზე, არ უშვებ კრედიტორს, პონორარზე არ ესაუბრები მუდამ უფულო რედაქტორს!

თუ შენ არცთუ ისე შორეულ ადგილებში ცხოვრობ, განა შეიძლება ბუნდერი არ იყო?! სომ შეიძლება, ძალზე შორეულ ადგილებში გეცხოვრა?!

თუ ერთი კბილი გტკივა, უნდა იზვიმო, რომ ყველა ერთად არ ატკივდა!

გინაროდეს, რომ არ კითხულობ „მოქალაქეს“, არ ზინარ სიბინძურით სავსე კასრზე, რომ ერთბაშად სამ ქალთან არ დაგიწერია ჯვარი!..

როდესაც საპოლიციო განყოფილებაში მიყავხარ, გინაროდეს, რომ ცეცსლოვან ჯოჯოხეთში არ გეპატიუებინ!

როდესაც არყის ხის ტოტებით გწკებლავენ, ფეხები აქნიე და ღმერთს სოტბა შეასხი, — „რა ბუნდური ვარ, რომ ჭინჭრით არ ვისუსხებო!“

სოღმა თუ გიღალატა, გინაროდეს, რომ მან შენ გიღალატა და არა — სამშობლოს!

და ასე შემდეგ... მისმინე, ადამიანო! მოწყვე ჩემს მცნებას და შენი ცხოვრება მარადიულ ღხენად გადაიქცევა!

თარგმნა ზაალ გოტკოველა

სსსრკის მშენებელი

ჭაჭიაშვილის „ჭაჭამა“
 დიდი სირცხვილი გვაჭამა:
 სტუმრებს დაუწყო ტკივილი
 თირკმელმა, ანუ ჭაჭამა!..
 დილით არაყის ახსოვდა,
 რა მიირთვა და რა ჭამა!..



ზამთარ-ზაფხულ არ აკლიათ, —
 რახია თუ არაყია, —
 ჭაჭას ქვევრში ინახავენ,
 ბლომად შაქარს დააყრიან!..
 ყველა ლოთი და მემთვრალე
 მერე მათი ზვარაკია!..

ღვინაძის არაყ-ღვინითა
 დროს ატარებდა ღვინითა,
 მერე სიმღერას იწყებდა
 ჯერ სულ ხმადაბლა, კრინითა,
 შემდეგ კი ყვირილს მორთავდა
 და ისრჩობოდა „პრიმითა“!..
 განა ამ კაცზე ითქმოდა:
 „აზროვნებს საღი ტვინითა“?!

შენმატკბილებით ღოთობენ
 ხაჭაპურაძე, ღვინცაძე!..
 დამნაშავეა, არაყის
 რეუსრებს იმათ ვინც აძლევს!
 ქათამაძეც და თევზაძეც
 ძმაცაცებია ქურდაძის,
 ზოგს ზურა ჰქვია, ზოგს — ვასო,
 ზოგსაც — უორა ან მურთაზი!..

მთვრალაშვილს უკვარს სიმთვრალე,
 გოგოჭურს — ძუძუს გოჭები!..
 როგორ ხდება, რომ ყოველთვის
 აღწუხე უზით კოჭები?!

თინა ფიფალსაველი



პოლიტიკური ფაქტორი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წლისთავზე ძია სემმა ერთ-ერთ კიდევ შემოუარა თავის სამხედრო ბაზებს და, რომ არაინ იყო პაზრზე, უსხად გამოჩნდა შავ ბაზარზე: კვერცხების კალათაში ეწყო ბირთვები ატომგულას და ამითი ძალიან გაუსარა „ნატოს“ გული, სოლო „სენტოს“, „სიატოს“ და თავის სხვა ლეკვებს რაკეტებს ურიგებდა, როგორც „ჩებურეკებს“. თან ბაქიობდა, - ვეროპას ვესმარე-ბიო, მშვიდობას ვეარშიყებო, მიტომაც გა-მაქვს ყველგან „პერშინგები“!

ჰოდა, ჩამოვიდა ვეროპაში ძია სემი სამხედრო პიკაპით, კაბინიდან გამოშვერილი მასვილი ნიკაპით და, რაკი რაკეტებს ანდა ხარისხის ნიშნად შტაპში „პენტაგონი“, მათ რევანსისტული აღტაცებით შეხვდა ბონი! ძია სემმა ბლომად რაკეტები ჩადგა მუთლან-გენში და ატომგულეზიც მოაწვია იქვე პე-ვით, თან ამერიკულ ტექნიკას აუწია მახა-ნდა, დაამთქნარა და ამოღერდა ზანტად: - პერშინგი, ჰორნ-ამერიკა და შატლიო, სხვა რამეებს არაფრად არ ვთვლიო! მეორე მსო-ფლიო ომშიც იყენენ სხვებზე - დიდი ბრი-ტანეთი და სსრ-კაო, მაგრამ ფაშიზმზე გამარჯვება უპირატესად გამოჰქვდა ამერი-კულმა ტექნიკამ!

იქვე შეასხენეს, ამის თქმას ვინ იკად-რებს, თუ არა ცეტიო, საბჭოთა კავშირის-თვის დასმარების ხანით მიწოდებულმა ტექნიკამ შეადგინა საბჭოთა არმიის შეი-არაღების სულ რაღაც ოთხი პროცენტით!

იწყინა ძია სემმა, არ ისურვა სიმათლის მოსმენა, თუმცა სატრაბახოდც ვეღარ მოუ-ბრუნდა ენა. და მიაშურა რაკეტებით შემო-მსრილ თავის ვეროპულ რანჩოს - სამხე-დრო ბაზას, გარეგნულად კი ვითომ მშვი-დობის სადარაჯოს. ამერიკული ტექნიკის ხილვაზე სისარულით აუფერადდა ორივე-ლოყა - მოსწონდა ძია სემს ფრთოსანი რა-კეტებით დაპურებული ვეროპა!

წამოგორდა კმაყოფილი სემი შეზღონ-გზე, მესრის ჩრდილში, და უცხო რამ სიზ-მარი იხილა ძილში...

იყო იგი, ძია სემი, ვითომდაც ავტოტუ-რისტი, მიმავალი აღმოსავლეთ ვეროპაში საბრძოლო დიდების ადგილების მოსანახუ-ლებლად - ნაღდი ავანტიურისტი.

მიდიოდა გარდასული ომის გზებით ძია სემი სამხედრო პიკაპით და შიშით უცახ-ცახებდა ნიკაპი. ირყოდა, ინჯღროდა გრუნტის გზებზე, ტალანებში, ამერიკული ტექნიკა, უკეთესი დღე არ ადგა არც ძია სემის ნიკაპს, მხარი ვეღარ აუქცია ძველ ორმოებს, საწერებს და შემთხვევით მიადგა ბრესტის სიმაგრეს...

აქ მას უჩვენეს, როგორ იდგა გემრი ვარ-ნიზონი, ტექნიკა კი არა, აქ თავგანწირვა იყო ბრძოლის სასწორის გადაშრონი!

გაცხდა ბრესტ ვაი-ავტოტურისტი და გაიშალა მის წინ ომგადავლილი მშრალი ტრამალი. აქ აუფეთქდა ძია სემს ზედიზედ ფაშისტებისგან დატოვებული რამდენიმე ნაღმი და ლამის გაისტუმრეს გაღმით!

ძია სემს არ დასცდენია სოფლის სამ-დურავი, ისე დაუენა პიკაპს სათადარიგო საბურავი. კვლავ გზა განაგრძო, მაგრამ ვერ გაბედა, ენახა ყირიმის კატაკომბები, - ვაითუ, ფაშისტებმა იქაც დატოვესო ბომ-ბები?!

ვერ ასცდა - კვლავაც აუფეთქდა ნაღმი ძველი და ლამის პიკაპს მოსწყვიტა წელი: აღარც უკანა შასი, აღარც წინა შასი და აღარ იყო მოძრაობის არავითარი შანსი! და მოეჩვენა ძია სემს, დაღლილს სასტი-კად, რომ სადღაც ვაკრთა თითქოს სვას-ტიკა!..

წამოდგა ლანდი, ძველი კიტელიო! - იოდლი იყო, თუ კიტელი?

აქეთ ნუ წახვალ, სტალინგრადია, მარჯვ-ნივ იარე, იქ იბოვი „ფურდინანდებს“, რა-მებს“, „არჩივებს“ და გამოარჩევ სადმე ჯართში მარაგანაწილებსო! - დაარიგა და გაქრა მაშინვე!

იარა დიდხანს, ნახა ბოლოს ჯანგით შუჭ-მული ჯართის გროვები! - ამოო იყო აქ ძებნა რაბის!..

გამოეცხადა დაბნულ ტურისტს ფელდშარ-მალი პაულოუსი და შეშინებულს გაუსინჯა პულსი, ამოიხსრა და ეს აუწყა: აქ საფანგი დაუგეს ლამის მილიონხანვეარ ჩემს ჯარს, ყოველ საბჭოთა ჯარისკაცს ლომის გული აღმოაჩნდა, რუსულ ზამთარს კი - ფოლადის კუნთები! მათ მოსპესო ჩემი ტექნიკაო!..

საფანგი მყოფებს, ყუმბარების და ტყვიების შიშზე, ზედ დაგვერთო შიშშილი-თა და სიცივით გაველტის შიშიც, ამას გუ-ლის გატეხვაც ზედ დაემატა, მთლად დაე-ჩიავდით - მუსრი გავავლეთ ცხენს, ძაღლსა თუ კატას!.. გვიანდა მივხვდით, რომ ეს ომი სულაც არ იყო ფიურერის დაპირებუ-ლი ბლიც-კრიგი, აღარ თავდებოდა მარცხი-ანი ბრძოლების რიგი!.. დაგვემდითო! რუ-სებმა გადმოგვეცეს რაციით და ყველაფერი დამთავრდა კაპიტულაციით!..

შეჩქვიფდა ძია სემი, უკუდგა მაშინვე, - ამას რას ვისმენო შეშარავს, საშინელს? იფიქრა, სამხრეთისკენ წავალო ახლავე! წავიდა და წაადგა სამომ საფლავებს!..

ვერ ნახავ, მისტერ სემ, მარაგანაწილებს, ამოოდ ნუ ირჯებიო! მსოლოდ ერთი

გვაქვს - სამარის ჯვრებიო! თუ „კრესტა-ვინა“ აღარ გივარგაო, აიღე ჯვარი და გვე-ყოლე კარგაო! - მოესმა ძია სემს ყორღანთა ბუბუნი და ჩამოწვა ღამე ცივი და უკუნი!

ამან მთლად დააფრთხო ჩვენი ავტოტური-სტი, აღარ ახსოვდა, მოვიდა თუ რისთვის, დამფრთხალმა დატოვა აწ ჯართი ავტო და გზა განაგრძო ქვეითად მარტომ!..

თვალი მოჰკრა ერთგან განთქმულ მცირე მიწას, გამოუცნობ შიშით შეაერეოლა იმ-წამს!.. პირი იბრუნა, გამობრუნდა ცივად და კაკასიის მთებისკენ გასწია!..

ეწადა, ეხილა მთებში ახის და ალპურ მღელოზე გადაშლილი ედელვაისი.

ამ ყვევილს ექებდა ფიურერი თავისი ევასთვის, მის შოვნას, ეგონა, ეყოფოდა ბრძოლის მსოლოდ ერთი სენასი!

იფიქრა ძია სემმა: აქ ყოფნის ნიშნად მოეწყვეტ მთა ლამაზ ყვავილსო, შინ წავი-ღებო ტურისტულ სუვენირად!..

მაგრამ კაკასიაშიც, როგორც ყველგან, იდგა ცხრა მაისი და აღარ ჰყვაროდა ომის მოგონებად „ედელვაისი“. მიწას ყორღანები ანდა ნაჭდევაბად, მთები კვლავაც იდგნენ მდგარ კაქდევაბად!..

ხელცარიელი დაბრუნდა ძია სემი თავის მანქანასთან და დაღლილობისგან მძიმედ აქასქესდა.

პიკაპს მოადგნენ გულლია მასინძლები, ძია სემსაც შეასხენეს წლებო, შენც და შენს მანქანასო, რაკი აღარ ხართო არც ერთი ფორმაში, ჩატეკირთავთო საბარგო მატარებ-ლის პლატფორმაში, ნურაფერზე ნუ იდარ-დებთო, შორეულ აღმოსავლეთზე გავლით შინისკენ წავაბრძანებთო!

მიხვდა ძია სემი, მასინძლებს რა ზრახვა ედოთ უზურში, უნდოდათ ეთქვათ, ამ ხნის კაცი აქამდე როგორ ზისარო ჭურში?! იმდენს ვერ მიმხვდარხარ, რომ ერთი პიკაპით, კაპი-ტალური რემონტის გარეშე, ჩვენე ქვეყნის მესხედსაც ვერ მოივლიო! სტალინმაც ასე გაამგზავრა შინ გათავისუფლებული სამხე-დრო ტყვეები - ვლადივოსტოკზე გავლით, რათა მიეხვედრებინა, მატარებლითაც ძნე-ლია ამ ქვეყნის კიდით კიდემდე გავლა, არამეტუ ბრძოლითო!

- არ მინდა შორეული აღმოსავლეთი და ვლადივოსტოკი! - იღრიალა ძია სემმა და გამოეღვიძა, - სადა ვარ, სემიპალატინსკი?! იკითხა შეშინებულმა, მაგრამ იმავე წაქ! თვალი შეასწრო წვერწამსული რაკეტების მესურს და მიხვდა, რომ მუთლანგენში იმყოფებოდა.

შფოთიანი ძილის შემდეგ ხსიათი თან-დათან გამოუკეთდა, მაგრამ გრძნობდა, რომ საშუღამოდ დაეკარგა ტრაბახის სურვილი!

ელგუჯა მერაბიშვილი





ავადა გვყავს „დინამო“

ამას წინათ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე იდგა ყუთები, რომლებშიც გულშემატკივრებმა ჩაყარეს წერილები — გამოთქვეს თავიანთი აზრი საყვარელ გუნდზე, მის ცალკეულ მოთამაშეებზე, გუნდის მომავალზე!.. ერთ-ერთ ყუთში ხელმოუწერიელი ლექსიც აღმოჩნდა! ვბეჭდავთ ტექსტს უცვლელად. „ნიანგის“ რედაქცია იმედოვნებს, რომ ავტორი ჰონორარის მიღებისათვის თავად იზრუნებს — ბულალტერიას მაინც გაუმხელს თავის ვინაობას!

გაგვიფუჭა „დინამო“ მანქანამ და ბინამო! — ასე მაფიქრებინა მატჩმა ამასწინამო!

მიიყვანა ამ დღემდე იქნებ ჩვენი „დინამო“, ცეკვამ, რაშა-ვორერამ, ხტუნვამ, ვორუდილამო?!

ვერც მალამომ უშველა და ვერც ქინაქინამო!

მკურნალობა სჭირდება! — ავადა გვყავს „დინამო“!

პირველ წრეში, როგორც ჩანს, — დინამოოო! დინამოოო! — სულ ტყუილად ვიყვირეთ მე და ჩემმა თინამო!

სანამ გინდათ, თვალეები ცხარე ცრემლით ვინამოთ? დაგვიბრუნეთ, ბატონო, ჩვენი ძველი „დინამო“!

სანამ უნდა გვაცხოვროს ერთმა თასმა წინამო?! გამოდის, რომ ტყუილად გრგვინავს ხალხი: დი-ნა-მო!

არაფერი, — ამბობენ, — ეშველება მინამო, სანამ ზოგ-ზოგ თავნებას არ გაჯორავს „დინამო“!

მაინც არ მომასვენა რწმენამ პაწაწინამო, და მეც ვყვირი გიჟივით: — დი-ნა-მოო! დი-ნა-მოო!

კომენტატორი: ეს-ეს არის, დამთავრდა შეხვედრა ფეხბურთში. ჩვენმა საყვარელმა გუნდმა „კუმულატორმა“ დიდი ანგარიშით ტრადიციული დამარცხება იწვნია „ზაჟიგანის აგან“. პირველ სიტყვას ვაძლევთ გუნდის — „ზაჟიგანის“



იუმორისტა

მწვრთნელს! პატივცემულო ნიკალაი პეტროვიჩი! ჩვენს გულშემატკივრებს ძალიან უხარიათ, როცა თქვენ გვამარცხებთ! რას იტყვით ჩვენს გუნდზე?

მწვრთნელი: ძალიან კარგი გუნდია! ბევრი სასახლო ფურცელი ჩაწერა მან ისტორიაში ამას ყველანაღიდად ვაფასებთ. მოგესხენებათ, კაცობრიობამ ბატბსაც არ დაუკარგა დეწლი რომის გადარჩენისათვის! ახლა ბევრი კარგი ახალგაზრდა მოვიდა გუნდში, საჭიროა დრო მათი შეთამაშებისათვის, 10-15 წელი, მერე სხვა ახალგაზრდებიც მოვლენ! მომავალი წინაა!

კომენტატორი: რით ახსნით ჩვენს დამარცხებას?

მწვრთნელი: ფეხბურთი ფეხბურთია და, საერ-

თოდ, სპორტი სპორტია, ხოლო ბურთი მრგვალია! დღეს ბედიც არ გწყალობდათ! მაგალითად, შეიძლება არ გაგეშვათ მეშიდე და მეცხრე ბურთები! ხომ გახსოვთ, მეკარე მარცხნივ გადახტა და ბურთს ვერ მისწვდა ხელით, ამიტომ უნდა გადამხტარიყო მარჯვნივ

და ფეხით აედო ბურთი! როგორც შევატყვე, მას ფეხები უფრო გრძელი აქვს, ვიდრე ხელები!..

კომენტატორი: ახლა მოვუსმინოთ ჩვენი გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს! ბიჭიკო, რას გვეტყვი დღევანდელ დამარცხებაზე?

ბიჭიკო: მეტად სასარგებლო დამარცხება იყო!

კომენტატორი: ვის გამოყოფდით?

ბიჭიკო: ჩვენი კარის ორივე ძელს! მათ ორჯერ ოსტატურად უკუაგდეს ბურთი!..

კომენტატორი: გისურვებთ შემდგომ წარმატებებს!



ვისრავნოთ ბუნაზაი!



იუმორისტა

ჩვენს პიპერტონიულ-იშემიურ-ათეროსკლეროზულ-დისტროფიულ საუკუნეში ფიზიკური კულტურა გაჯანსაღება-გაკაუების უბარი საშუალება რომ არის, ამას ალბათ არავინ გამიხდით სადავოდ! სადავო ის არის, ფიზიკური კულტურის რომელი სახეობა უნდა შევირჩიოთ სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. ზოგი ფეხით სეირნობას მისდევს, ზოგი - ცხენით სეირნობას, ზოგი - ცურვას, ზოგიც ლიფტში არ ჯდება შიგ გაჭედვის შიშით და თექვსმეტსართულიანი სახლის კიბეებზე ადი-ჩამოდის ჯიუტად!..

მაგრამ უმრავლესობა მაინც იმ აზრისაა, რომ გაჯანსაღების საუკეთესო საშუალება არის სირბილი, უკეთ რომ ვთქვათ - ძუნძული. თუ გინდათ ჯანმრთელი იყოთ, იძუნძულეთო! - ექიმებიც ამას ჩაგვჩინებენ, „ლელოც“, „მართვეც“, ტელევიზიაც, რადიოც, კუს ტბის მიდამოებში მოძუნძულე ნაღვსიც!..

მართალი მოგახსენოთ, პირადად მე ამ ამბის არაფერი მწამდა და თავისუფალ დროს როცა მოვნახავდი, ძუნძულს იმას ვარჩევდი, ჭადრაკი მეთამაშა ტარიელთან, ან კიდევ ნარდი - ნოდართან.

მაგრამ ფაქტები ჯიუტი ყოფილა! ფაქტებმა შემაცვლევინა ჩემი მრწამსი და მიძულა, მოძუნძულეთა მრავალათასიან არმიას შეერთვოდი.

რა ფაქტებიო?! - იკითხავთ ალბათ, - სად არის ფაქტებიო?! აგერ გახლავთ, ჩემო ბატონო, ფაქტები, მაგრამ რა ფაქტები! ყოველი ჩვენთავანისათვის ხელმისაწვდომი, თვალსაჩინო, ნაღდი, უტყუარი ფაქტები. არ გჯერათ, თუ? ენდეთ ჩემს რჩევას და ფეხბურთის დღეს სტადიონზე წაბრძანდით! კარგი, ძალიან თუ ვიძინებლდებით ეს ამ-

ბავი, ტელევიზორში მაინც უყურეთ ჩვენების თამაშს!

დიდებული სანახაობის მოწმენი შეიქნებით: ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში ათი დინამიკური ძუნძული ფარავს სტადიონის მწვანე სივრცეს. რომ მოკლათ, ფეხს არ აუჩქარებენ! იციან, ეტყობა, რომ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ძუნძულია და არა ჩქარი სირბილი!..


ახლა შედეგიც ვნახოთ: არიან, როგორც ძველად იტყოდნენ, სტამბოლის კაჟივით - იდეალური გულ-სისხლძარღვები, იდეალური წნევა და ნერვული სისტემა!..

ჩვენს კარში გატანილი ყოველი ბურთი ათას სულ მოსახლეზე თითო ინფარქტს და თითო პიპერტონიულ კრიზს იწვევს საქართველოში!.. ნერვები არ უვარგა ნაღვს და იმიტომ!..

აბა, თვითონ ფეხბურთელები ძუნძულმა ისე ვააკაუა და ნერვული სისტემაც იმდენად მოუწესრიგა, აინუნშიაც აღარ აგდებენ ასეთ წვრილმანებს!.. დიდი ამბავი, ბურთი თუ შეუგდეს! ხუთიოდე წუთს აუჩქარებელი ძუნძული ყოველგვარი სტრესის წამალია! დაიწყებენ ისევ ცენტრიდან, ზოგი აქვთ გაძუნძულდება, ზოგი იქით და მორჩა! ხანდახან თვითონაც დააპირებენ ბურთის გატანას ძუნძულ-ძუნძულით!..

სამაგიეროდ ჯანმრთელობა აქვთ შესაშურია!

ამიტომ ახლა მეც ვურჩევ ყველას: ხალხო, მივბაძოთ თბილისის დინამოელებს, ვისწავლოთ ძუნძული! გავუფრთხილდეთ ჩვენს გულს სისხლძარღვებს და ნერვულ სისტემას!



კორნელი
ცანტარაძე



სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“ № 14
(1626) ივლისი, გამომდის
1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადღიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა ამირეჯიბი, ნომადი
ბართაიძე, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
მალ ლოლუა, ნოდარ მალა-
ზონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სინარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჭანსულ ჩარკვიანი, თამაზ
წიფივაძე, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გაღებულ ასაწყობად 24.06.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 5.08.85 წ. ქა-
ლდის ზომა 60X90/4
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9, სა-
ქართელოს კბ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 1415 უე 05565
ტირაჟი 143300 ჟურნალი
გამომდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 850008.
თბილისი-8, რუსთაველის
ბროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილება გამგების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაეების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ
ЗАЯВЛЕНИЯ